



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №11

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 14 ოქტომბერი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

**ე ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :**

- |                 |   |  |
|-----------------|---|--|
| თამაზ სალუქვაძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| ნატალია ზოიძე   | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| გოჩა მგელაძე    | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების<br>კომისიის თავმჯდომარე;                           |
| დავით მახარაძე  | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო<br>საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                       |
| ირაკლი პატარიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის,<br>ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის<br>თავმჯდომარე; |
| ელგუჯა ანდრიაძე | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ<br>საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                     |
| ზურაბ ნაკაიძე   | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური<br>განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                  |

- ბესარიონ გოგოტიშვილი - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;
- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- რაულ თავართილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- ვაჟა რამიშვილი - საკრებულოს წევრი;
- არ ესწრებოდნენ:**
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- დimitრი ჭეიშვილი - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ნაზი ფუტყარაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- ნატალია ძიმიგური - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;

### **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;

### **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოსათვის მძიმე დღეებია, 8 ოქტომბრის 26 მაისის ქუჩაზე კორპუსის ჩამოშლით 9 ადამიანი შეეწირა. წუხს მთლიანი საქართველო და აჭარა.

წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძემ მიულოცა სვეტიცხოვლობა, მისი მადლი და ძალა ფარავდეს საქართველოს. ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 5 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. ასევე მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

## დ დ ის წ ე ს რ ი გ ი :

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ჭოროხის ქუჩა N67-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს შორის 2019 წლის 30 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2025 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ** საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

**საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე** - მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას და რეგულაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პანდემიის დროს მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვის პერიოდში არანაირი რეგულაცია არ სრულდებოდა. ტრანსპორტში პირბადეებიც კი არ ეკეთათ. საქალაქთაშორისო ტრანსპორტი მოძრაობდა ფეხზე მდგომი ადამიანებით. გარდა მისა, მისი დეპუტატობის ვადის განმავლობაში 600-ზე მეტი განცხადება აქვს შეტანილი ქალაქ ბათუმის მერიაში, რომლებზეც შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ეთანხმებოდნენ, რომ ეს საკითხები ყველა იყო სტრატეგიული და მნიშვნელოვანი როგორც ქალაქისთვის, ასევე მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისათვის, თუმცა აქედან 5% არ არის შესრულებული.

**საკრებულოს წევრი მირდატ ქამადაძე** მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სავარაუდოდ ამ ტრიბუნლიდან მისი ბოლო მიმართვა იქნება ბათუმელების მისამართით და ყველამ იცის, რომ მნიშვნელოვანი თვითმმართველობის არჩევნების წინ დგანან. მას შეუძლია 4 წლის თავზე თამამად თქვას, რომ რეალურად 2 ოქტომბრის არჩევნები მნიშვნელოვანია, რადგან გაიგებენ, ქვეყანა საით წავა რუსეთისკენ თუ დასავლეთისკენ აღებული კურსით. ასევე მნიშვნელოვანია თუ რა ხდება ქვეყანაში, მას სურს, რომ ჰკითხოს თითოეულ კოლეგას პარტია „ქართული ოცნებიდან“ და ბათუმელებს - ასეთ ფორმალურ ცხოვრებას დიდი ძმის თვალთვალი ართმევს, ისედაც აღარაფერი დარჩა წმინდა ამ ქვეყანაში, თუ რა მოსმენებთან აქვთ საქმე. ამაზე თუ პასუხს მიიღებს, რომ უარესი ან მსგავსი ხდებოდა, არამგონია ბათუმელები ამ პასუხს დაჯერდნენ. ასეთ საზოგადოებაში მოსახლეობა არ იმსახურებს და 2 ოქტომბერს გადაწყვეტილებას მიიღებს. გარდა ამისა, ბათუმში გაურკვეველი კომპანიის მიერ 7 კორპუსი შენდება, რაზედაც მერიას ნებართვა არ გაუცია და დღემდე რაიმე ქმედითი გადაწყვეტილება არ მიუღია, სანამ მათი პარტიიდან მერობის კანდიდატი გიორგი კირთაძე ადგილზე არ მივიდა. აღნიშნულიც ბათუმელების შეურაცხყოფაა და ბათუმელებს მიმართა თხოვნით, რომ 2 ოქტომბერს მივიდნენ არჩევნებზე და მიიღონ გადაწყვეტილება.

**საკრებულოს წევრი ნოდარ ღუმბაძე** - უკანონო მშენებლობები ხდება ბათუმში, რაზედაც გადაღებული სურათები წარმოადგინა, 7 კორპუსი შენდება ნებართვის გარეშე, სადაც რამდენიმე ათასი ჩინელის ჩამოყვანას აპირებენ, რადგან ჩინეთში აკრძალულია ტოტალიზატორი და მართვის ცენტრი უნდა გაკეთდეს ბათუმში. მას ასევე აქვს კითხვები: რას ემსახურება აღნიშნული შენობა-ნაგებობები, ვინ და რატომ აშენებს და ამ ხნის განმავლობაში რას აკეთებდა მუნიციპალიტეტი. დღეს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები, რომ ყოფილიყვნენ კითხვებზე პასუხი გაიცემოდა.

**საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე** - 2017 წელი იყო თვითმმართველობის არჩევნების, ყველა დადიოდა მოსახლეობაში და ცნობილია გამოკითხვები, მოსახლეობას აწუხებდა ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობა, უმუშევრობა და საცობები. ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა სამუშაოები, მაგრამ ბევრიც გასაკე-

თებელია. აღნიშნული თემები დღესაც აქტუალურია. მან ფრაქცია, ბათუმის სახელით ბევრი ინიციატივა და საკითხები დააყენა, თუმცა ბევრი გასაკეთებელია.

**საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე** - 2017-2021 წლის მოწვევის დღეს საკრებულოს ბოლო სხდომაა და იმედს იტოვებს, რომ ბევრად უფრო უკეთესი საქმიანობა განხორციელდება მომავალში, იქედან გამომდინარე, რომ ამისთვის ბევრი ნაბიჯი გადაიდგა საკანონმდებლო თუ სხვა ინიციატივის. რაც შეეხება ოპონენტების გამოთქმულ მოსაზრებებს მაინცდამაინც თვლის, რომ მირდატ ქამადაძე პროფესიას დიდ პატივს სცემს და არ ამახინჯებს ფაქტებს. ახსენეს სიტყვა არჩევნები და მისი პარტიისა და თანამოაზრეებისგან განსხვავებით მისთვის მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა დასავლეთისკენ აღებული კურსი არაერთ მნიშვნელოვან დოკუმენტშია ასახული და ამაზე ახლა არ ისაუბრებს. რაც შეეხება მოსმენებს და თვალთვალს დღემდე ტელევიზიით ისმის გვისმენენო. მოსმენის თვალთვალის პერიოდი გადმოჰყვა ოპოზიციას, რომ იგივე მეთოდებს ახსენებდნენ და ცდილობენ მიაწერონ მმართველ ძალას, თუმცა კანონის პატივისცემას გამოხატავს და გამოძიება მნიშვნელოვანია, ის ყოველთვის წინააღმდეგია მიყურადებისა და თვალთვალისა. დღეს იმიტომ არის მშვიდად, რომ დარწმუნებულია გამოძიება გამოავლენს, რასაც ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება უკანონოდ აშენებულ 7 კორპუსთან დაკავშირებით გატარებულია ღონისძიებები, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს. მომავალ საკრებულოს უსურვებს, რომ მეტად კონსტრუქციულები იყვნენ.

**საკრებულოს წევრი მირდატ ქამადაძე** - საკრებულო არის პოლიტიკური ორგანო, პოლიტიკოსებს ირჩევენ აქ და მიმდინარე მოვლენებზე პოლიტიკური შეფასებები უნდა ჰქონდეთ.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ** განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ქალაქ ტერიტორიაზე სტიქიის (უხვი ნალექის) შედეგად საცხოვრებელ სახლებზე, შენობებზე, მიმდებარე ტერიტორიებსა და ინფრასტრუქტურაზე მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება. სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის შედეგად მიყენებული ობიექტების შესწავლა დღეის მდგომარეობით აღრიცხულია 600-მდე ობიექტი. გაზრდილი ნალექების ინტენსივობის და სტიქიური პროცესების განვითარების რისკების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის წინაში აქტიურად

დადგა დღემდე არსებული სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოებისათვის საჭირო პროცედურების დროულად განხორციელება, შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საჭირო ფინანსური რესურსის მოძიება, რომელიც მთლიანად მიიმართება უხვი ნალექის/სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისა და სალიკვიდაციო სამუშაოების დაფინანსებაზე. პროექტით ხორციელდება გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით; წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და ნაშთი;

**მომხსენებელმა აღნიშნა, პროექტში ცვლილების გათვალისწინებით, რომ ასევე ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N13-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის სამუშაოებისა და მისი განხორციელებისათვის საჭირო საპროექტოსახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის საჭირო ფინანსური რესურსის მოძილება.**

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

**საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ დასვა კითხვა შენობის დასრულების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2022 წლისათვის დასრულებული უნდა იყოს.**

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

**კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16**

**წინააღმდეგი - 0**

**არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. მამულაძე)**

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.**

**(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 12 ოქტომბრის №4943/02 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნგრევის შედეგად ათობით ოჯახი დარჩა საცხოვრებელი ფართების გარეშე

და საჭიროებენ შესაბამის დახმარებას. ამასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებები (ბინები) საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. შემდგომში განკარგვის მიზნით, მათი პირდაპირი წესით სოციალური მიზნების განსახორციელებლად.

შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებების (საცხოვრებელი ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით. **ასევე აცნობა, რომ პროექტში შესატანია ცვლილება, დანართით წარმოდგენილი 65 ობიექტის ნაცვლად 61 უძრავი ქონება.**

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

**საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ** აღნიშნა, რომ მრავალწლიანი პრობლემის მოგვარების საწყისებთან არიან, ასეთ პოზიტიურ თემებს წინა პლანზე არასოდეს არ აყენებენ მათი ოპონენტები. ეს ის პრობლემაა წინა ხელისუფლების დროსაც რომ იყო.

**საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ** დასვა კითხვა ტერიტორიის მოწესრიგების შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ბარაკის ტიპის სახლებში მოსახლეობა წლების განმავლობაში ცხოვრობენ, რის გამოც მოხდება ამ ტერიტორიის გამოთავისუფლება და კორპუსების ჩადგმა, ე.ი სოციალური სახლის მშენებლობა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

### **მ ო ო ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ჭოროხის ქუჩა N67-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის



შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით  
კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2021 წლის 27 სექტემბრის N01-01-10/4998 (N04-14231270368-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობი კომისიის 2021 წლის 17 აგვისტოს N9 საოქმო გადაწყვეტილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის 24 აგვისტოს N01-01-3/444 ბრძანების საფუძველზე, 2021 წლის 25 აგვისტოს ასლან გაბიტაძისა (პ/ნ 61006076027) და ლიანა გაბიტაძის (პ/ნ 61006030421) წარმომადგენელ დავით გაბიტაძესთან (პ/ნ 61006012345) გაფორმდა „საექსპროპრიაციო ქონების კომპენსაციის შესახებ“ ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ასლან გაბიტაძე და ლიანა გაბიტაძე მათ თანასაკუთრებაში არსებულ, ქალაქ ბათუმში, ჭოროხის ქუჩა N67-ში მდებარე, 1034 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.35.25.202) იმ ნაწილს, რომელიც არ ხვდება გზის ათვისების არეალში, ნაკლებობით დაიზუსტებენ საკუთრებაში (299 კვ.მ). შესაბამისად, დარჩენილი 735 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების N1 და N2 ათვისება მოხდება გზის მშენებლობისათვის და აღნიშნული ნაკვეთი დარეგისტრირდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N882021797813 სარეგისტრაციო გადაწყვეტილებით, მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.35.25.202) ნაკლებობით (299კვ.მ) დარეგისტრირდა ასლან გაბიტაძისა და ლიანა გაბიტაძის თანასაკუთრებად. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 04 ოქტომბრის N814.14212775 ბრძანების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს N882021850440 სარეგისტრაციო გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმში, ჭოროხის ქუჩა N 67-ში მდებარე, 735,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობები (ს.კ. 05.35.25.313) დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ასევე წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 11 ოქტომბრის N 4931/02 (N07-1421284191-14) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ზემოაღნიშნული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

**საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ განაცხადა, რომ წინააღმდეგია აღნიშნული საკითხის ზღვის ზოლის და-**

კეტვასთან დაკავშირებით.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს მიერ გადმოცემული 4 ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. საკითხთან დაკავშირებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“ შორის განხორციელდა მიმოწერები. შესაბამისად, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ 2021 წლის 08 ოქტომბრის №10.14212813 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა 4 ერთეული ავტობუსი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია აღნიშნული 4 ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა, ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, შემდგომში შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-სათვის გადასაცემად. წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის 4 ავტობუსის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ დადგენილების მე-2 პუნქტში სწერია: განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკონპენსაციოდ გათვალისწინებული მაკონპესირებელი ღონისძიების სახე და მასთან დაკავშირებული პირობები დაზუსტდეს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ეტაპზე, რომელიც ითვალისწინებს ქალაქისთვის რაღაც სარგებლის მიცემას. მან მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, თუმცა ქალაქი სამაგიეროდ მიიღებს ანალოგიურ საცხოვრებელ სახლს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მაკონპესირებელი ღონისძიებები დადგენილია კ2 კოეფიციენტის გადამეტების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ - თამაზ სალუქვაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 1 (ა. მამულაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს შორის 2019 წლის 30 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2025 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს (ს/ნ №445400664) 2021

წლის 07 ოქტომბერის №10/1421280590-14 წერილი, რომელიც ეხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს შორის 2019 წლის 30 დეკემბრს გაფორმებული „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების ვადის (30.12.2021წ.) 4 წლით, 2025 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების თაობაზე.

როგორც წერილის ავტორი განმარტავს, 2020 წლის დასაწყისში საქართველოსა და მსოფლიოში ახალი ტიპის კორონავირუსის SARS-COV-2-ით გამოწვეული პანდემიის გამო გამოცხადდა კარანტინი, დაიხურა სავაჭრო და გასართობი ობიექტები. ამის გამო შეჩერდა ტურისტების მობილობა აჭარაში, რის გამოც მათ მიერ ვეღარ განხორცილდა ბიზნეს აქტივობები და მიიღეს მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი. მათივე განმარტებით ამჟამინდელი პროგნოზიც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მიმდინარე წელი უფრო უკეთესი იქნება მათი ბიზნეს საქმიანობისთვის და ვარაუდობენ ზარალის ზრდას, ამის კომპენსირება მათივე მოსაზრებით კი შესაძლებელია მხოლოდ მხოლოდ მომდევნო წლებში ჯიხურების ოპერირებიდან მიღებული შემოსავლებით, რის გამოც ითხოვენ ხელშეკრულების ვადის (30.12.2021წ.) 4 წლით, 2025 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელებას.

განვმარტავთ, რომ მხარეთა შორის 2019 წლის 30 დეკემბრს გაფორმებული ხელშეკრულებით შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბათუმის ზღვისპირა ზოლში არსებული 14 (თოთხმეტი) ერთეული 224.00 კვ.მ. საერთო ფართის მიწის ნაკვეთი, მათზე გაგამგრილებელი წველების, საღეჭი რეზინების, ორცხობილების და სხვა პროდუქციის სარეალიზაციო ჯიხურის განთავსების უფლებით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 08 ოქტომბრის წერილით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეთხოვა შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს მიერ წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარმოდგენა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2021 წლის 11 ოქტომბრს წარმოდგენილი იქნა №03/905 (მერიაში რეგისტრაციის №04-1421284228, 11.10.2021 წ) წერილი, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელების საკითხზე. სამინისტროს განმარტებით ხსენებული კომპანია წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სასოფლო-სამეურნეო კულტურის - მანდარინის გადამამუშავებელ უმსხვილეს საწარმოს და სამინისტროსთვის ასეთი კომპანიების ხელშეწყობა და ფინანსური მდგორადობა ძალზედ მნიშვნელოვანია. აღნიშნავენ, რომ ციტრუსის 2020-2021 წლების სეზონზე შპს „Georgian Industrial Asset Management Group“ იყო ციტრუსის გადამამუშავებელი ერთადერთი კომპანია ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელმაც ფერმერებისგან მიიღო და გადაამუშავა 10 000 ტონაზე მეტი არასტანდარტული მანდარინი. განმარტავენ, რომ მსგავსი საწარმოების შეუფერხებელი ოპერირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების პერიოდში. სამინისტრო მიესალმება ყველა იმ ნაბიჯს რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიის შეუფერხებელ ფუნქციონირებას და ფინანსური სირთულეების თავიდან აცილებას. შესაბამისად, გამოხატავენ თანახმას გაუხანგრძლივდეს შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს ქონების სარგებლობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს შორის 2019 წლის 30 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2025 წლის 31 დეკემბრამდე და აღნიშნულზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს საკრებულოს თანხმობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტში ცვლილების გათვალისწინებით დაემატა მე-2 პუნქტი - შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-სათვის იჯარის უფლებით გადაცემული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ბათუმის ზღვისპირა პარკის და პლაჟების ტერიტორიებზე განთავსებული ჯიხურების მიერ დაკავებული, სულ 224 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 14 მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირა 2022-2024 წლებში იჯარის წლიური საზღაური შეადგენს 40 000,0 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 50000,0 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

მ. თურმანიძე — საკრებულოს აპარატის უფროსი  
საქმისწარმოებისა და ადამიანური  
რესურსების მართვის განყოფილების  
უფროსი

ვიზირებულია:

ი. თავართქილაძე — საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,  
სხდომის მდივანი